„რაც არ იწვის, არ ანათებს“

ნოთე

ორშაბათი,
30 აპრილი,
1990 წ.
№ 1
ფასი 40 კაპ.

საქართველოს სახალხო ფრონტის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის ორკვირეული გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან

აჰა, იხილა დღის სინათლე კიდევ ერთმა გაზეთმა — იგი თქვენს ხელთაა, ძვირფასო მკითხველო.

ძირძველი ქართული სიტყვა „ნოთე“ დავანათლეთ გაზეთს. „ნოთე“ — იგივე ჩირაღდანია, გზის გამკვალავი და წყვდიადის კეთილად მანათობელი, კაცთა იმედად ღამის დამთრგუნავი...

რა მიზნებს ისახავს, რა გზით ივლის ჩვენი გაზეთი? უწინარესად ის არის და იქნება საქართველოს თავისუფლებისათვის სიტყვით და საქმით მებრძოლი, ჭეშმარიტად სახალხო სულისკვეთების გამომხატველი, ეროვნული დროშის ქვეშ ღამის მთევარი, მტერთა ჩვენთა ყოველთა მდევარი, ძალა მაკონსოლიდირებელი, იმ აზრის მქადაგებელი, რომ ჩვენ, ქართველები, „უნდა დავეფუძნოთ იმას, რაც გვაქვს და დავიბრუნოთ ის, რაც აღარ გვაქვს. მონობა უნდა გადავაგდოთ არა იმიტომ, რომ იგი საერთაშორისო სამართლის დარღვევით მოგვახვიეს თავს, არამედ იმიტომ, რომ იგი მონობაა“.

ჩვენი სურვილია ზუგდიდში აკიაფებული „ნოთე“ ძალმოსილად გადაწვდეს სრულიად საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას.

შევთხოვთ უფალს, მალე გვენახოს თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს დედამზის აღმოცისკრება. ამინ!

გაზეთ „ნოთეს“ სარედაქციო კოლეგია.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გატონ **გივი გუმბარიძეს**

ცნობამ, აფხაზი ექსტრემისტების მიერ ქართველთა ხოცვა-ულეტის შესახებ ფეხზე დააყენა მთელი საქართველო, განსაკუთრებით დაძაბა მდგომარეობა ზუგდიდში. რატომღაც წინასწარ განიარაღებულმა ქართველობამ სამართლიანად მოსთხოვა ხელისუფლებას დაებრუნებინათ იარაღი, რათა მიშველებოდნენ გასაჭირში ჩავარდნილ მოყვასს. უარმა აღაშფოთა ზუგდიდელები. უმართავმა მასამ ჯერ იყო და მილიცია განიარაღა. შემდეგ კი საგამრმძიებლო იზოლატორი აიღო და იარაღ-ასხმულმა „ცხელ წერტილს“ მიაშურა.

ეს იყო მაბუალიძვილურობისა და მაღალზნეობრიობის გამოვლინება, რისთვისაც არავინ უნდა ისჯებოდეს. ჩვენ გვესმის, რომ კოდექსები ამგვარი ქმედებებისათვის მკაცრი სასჯელით იმუქრებიან, მაგრამ ხშირად ზნეობა და სასჯელის ზომის განმსაზღვრელი მუხლები ერთმანეთს აღარ ფარავენ.

ამიტომ, ზუგდიდის რეგიონალური სახალხო ფრონტის გამგეობა გამოხატავს რა საზოგადოებრიობის აზრს, პროტესტს აცხადებს 1989 წლის ივლისის ამბებში მონაწილეობისათვის ჩვენი თანაქალაქელი მამულიშვილების დევნის გამო და მოითხოვს წარმოებით შეწყდეს დ. ანთიას და ზ. ქობალიას წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეები, ; იმ შემთხვევაში, თუ მათი საქმეების შეწყვეტა უკვე დაგვიანებულია, გთხოვთ პატიების წესით დაკმაყოფილდეს საზოგადოებრიობის მოთხოვნა.

ამასთან, მოვითხოვთ აღიკვეთოს ეჭვმიტანილთა დევნა, დამნაშავე აფხაზთა დაპატიმრების ფაქტების ნაწილობრივი გაწონასწორების საბაბით.

ზუგდიდის რეგიონალური სახალხო ფრონტის გამგეობის სახელით:

მ. ხორავა,
ჯ. ტულუში,
ი. ძვანია,
ბ. კანკავა,
ე. არღვლიანი,
მ. შიკნია,
ლ. კვირკველია.

8 აპრილს, გლოვის დღეს, ათეულ ათასობით ზუგდიდელმა აუნთო წმინდა სანთელი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებულთა ნათელ ხსოვნას.

აკ. ყუფუნიას ფოტო.

საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის
მიმართვა
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებისადმი

ძვირფასო მეგობრებო!

საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობა აღნიშნავს, რომ

ა) სსრკ უზენაესი საბჭოს ორივე პალატის მოწონებული კანონ-პროექტი სსრკ შემადგენლობიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის პროცედურის შესახებ ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება სსრკ კონსტიტუციას, რომლის 72-ე მუხლის თანახმად მოკავშირე რესპუბლიკას აქვს სსრკ შემადგენლობიდან თავისუფალი გასვლის, ანუ გასვლის გადაწყვეტილების ცალმხრივად და უპირობოდ მიღების, უფლება. კანონ-პროექტის ფორმირება, რომლის თანახმადაც მოკავშირე რესპუბლიკის გადაწყვეტილებას სსრკ შემადგენლობიდან გასვლის შესახებ ამტკიცებს სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობა, ანუ მოკავშირე რესპუბლიკის გარეთ მყოფი ორგანო, პრინციპშივე აუქმებს მოკავშირე რესპუბლიკის ამ უფლებას, რამდენადაც მოკავშირე რესპუბლიკის გასვლას სსრკ შემადგენლობიდან დამოკიდებულს ხდის არა მხოლოდ რესპუბლიკის ნებაზე, არამედ საბჭოთა კავშირის ნებაზეც, რომელსაც ასახიერებს სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობა.

ბ) სსრკ უზენაესი საბჭოს ორივე პალატის მიერ მოწონებული ზემოხსენებული კანონპროექტი ამავე მიზეზებით ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 69-ე მუხლს, რომელიც საქართველოს ანიჭებს სსრკ შემადგენლობიდან თავისუფალი გასვლის უფლებას.

გ) ამგვარად, ზემოხსენებული კანონის მიღება სსრკ უზენაესი საბჭოს მიერ წარმოადგენს მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს, და საბჭოთა კავშირის უფლებრივი მიმართების ძალადობით შეცვლის მცდელობას მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს, უფლებათა საზიანოდ და იგი შეიძლება კვალიფიცირებულ იქნას მხოლოდ როგორც ახალი აგრესია

(დასასრული მე-2 გვ.)

მოითხოვეს დეიდეოლოგიზაცია

ამა წლის 19 აპრილს ზუგდიდის ფაიფურის ქარხანაში ჩატარდა საერთო საქარხნო პარტიული ორგანიზაციის კრება. კრებას მუშა-მოსამსახურეებმა გაუგზავნეს მიმართვა, სადაც მოითხოვდნენ საწარმოს დეიდეოლოგიზაციას, პარტიული და კომკავშირული კომიტეტების გაუქმებას. მომართვას ხელს აწერდა 900-მდე კაცი.

საქართველოს სახალხო ფრონტის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაცია მხარს უჭერს ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა სამართლიან მოთხოვნას და იმედოვნებს, რომ იგი პრაქტიკულად განხორციელდება უმოკლეს დროში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ამ რესპუბლიკების წინააღმდეგ უზენაესი საბჭოს პალატების მიერ ამ კანონის მოწონების ფაქტი იმას მეტყველებს, რომ საბჭოთა კავშირი მიდის მის შიგნით არსებული კოლონიური სისტემის შემდგომი განმტკიცების, მოკავშირე რესპუბლიკების ფაქტობრივად კოლონიური სტატუსის შემდგომი ფიქსირებისა და საამართლებრივი დაკანონების გზით. თქმულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო ფრონტის მამგეობა მოითხოვს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან, აგრეთვე დეპუტატებისაგან, რომ დაუყოვნებლივ მოწვეული იქნას საგანგებო სესია, რომელიც მიიღებს ზომებს, რათა საქართველოს ასცდეს კანონით აღიარებულ მარადიულ არათავისუფალ მდგომარეობაში ჩავარდნა, რაც მისი ერთადერთი შესაძლო პერსპექტივაა ზემოხსენებული კანონპროექტის კანონად ქცევის და საქართველოს მიერ ამ კანონის მიღების შემთხვევაში.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ძალადობით შეყვანილი ქვეყანაა, რომ მის ყოფნას სსრ შემადგენლობაში არა აქვს კანონიერი იურიდიული საფუძველი საქართველოს წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მიღებული სათანადო გადაწყვეტილების სახით და რომ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა სავსებით შეესაბამება როგორც ქართველი ხალხისა და საქართველოს მთელი მოსახლეობის ინტერესებს, ისე ქართველი ხალხის ნებას, საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობა მოითხოვს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოსაგან, როგორც საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების დღეს არსებული უმაღლესი ოფიციალური ორგანოსაგან, რომ საგანგებო სესიაზე მკაფიოდ გამოთქვას თავისი დამოკიდებულება ზემოხსენებული კანონისადმი და მიიღოს საჭირო საკანონმდებლო ზომები საქართველოს სუვერენიტეტის დასაცავად, თვით საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტის მიღების ჩათვლით.

საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობა სთხოვს ყველა დეპუტატს, საქართველოს ისტორიისათვის ამ კრიტიკულ მომენტში არ დაზოგოს თავისი პირადი უსაფრთხოება და საზოგადოებრივი მდგომარეობა, პრინციპულად დაუპირისპირდეს ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ შეტევაზე გადმოსულ იმპერიას და პირნათლად მოიხადოს თავისი მოქალაქეობრივი ვალი სამშობლოს მომავლის წინაშე.

საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობა.

ერთი დოკუმენტი 1924 წლის ეროვნული აჯანყების შესახებ

1924 წლის 28-29 აგვისტოს ეროვნული აჯანყების ერთერთ მნიშვნელოვან კერას ზუგდიდი წარმოადგენდა. ზუგდიდის მაზრაში, აჯანყებას მეთაურობდნენ ალექსანდრე გიბუნია (სამაზრო პარტიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე), კანდია ხუბულავა, ვარლამ აწყოფარიძე, სოლომონ ქუთელია, გვარლამ ანჩაბაძე, ბუბუ ჩიქოვანი, ძუკუ წულეიძკირი, ჩაქვა კუტალია იულონ ნორაკიძე და კოტე აწყოფარიძე.

ჩვენს მიერ შოკვლეული საარქივო მასალებიდან არკვევა, რომ როგორც აჯანყების ხელმძღვანელთა, ასევე რიგით აჯანყებულთა უმეტესობა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო. ეს კი იმაზე უთითებს, რომ ამ აჯანყების მონაცვლი „მენშევიკურ ავანტიურად" წითლებისათვის ჩვეული პოლიტიკური ფანდი იყო.

აჯანყებულ მაჯულიშვილებს ბოლშევიკები არნახული სისასტიკით გაუსწორდნენ. მთელი საქართველო და განსაკუთრებით სამეგრელო სისხლის ნიაღვარმა წოდა.

ამ ეროვნული აჯანყების შესახებ დაწვრილებით სხვა დროს გვექნება საუბარი. ამჯერად კი გვსურს შემოგთავაზოთ ერთი დოკუმენტი, რომელსაც ზუგდიდის არქივში მივაკვლიეთ. ეს გახლავთ სია 1924 წელს დახვრეტილი მამულიშვილებისა.

მართალია, ამ დოკუმენტს ჰქვია „სია დახვრეტილი ბანდიტებისა", მაგრამ, როგორც ჩანს სინამდვილეში ესაა წინასწარ შედგენილი სია დასახვრეტებისა. ამაზე უთითებს ის გარემოება, რომ სიაში შეტანილი 40 პიროვნებიდან, ორის სახელი და გვარი გადახაზულია. როგორც კვლევის შედეგად გაირკვა, ამ ორმა პიროვნებამ (ბიბიკო ჯიქიამ და აკაკი ფონიამ) დახვრეტისას მოახერხეს გაქცევა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ესაა სია (№) 2, რაც იმაზე უთითებს, რომ არსებობდა აგრეთვე სია № 1—ც, რომელში ცხადია სხვა პიროვნებები იქნებოდნენ ჩაწერილნი.

ნიშანდობლივია ისიც, რომ დასახვრეტ ქართველ მამულიშვილთა სია შედგენილია რუსულ ენაზე!

აი, ეს სია და მისი ფოტოპირიც:

სია 2

დახვრეტილი ბანდიტებისა, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ შეიარაღებულ აჯანყებაში ზუგდიდში

№ გვარი, სახელი, მამის სახელი	შენიშვნა
1. ჯიქია ბიბიკო კირილეს ძე	ქ. ზუგდიდი
2. ჩიქოვანი ბუბუ დათას ძე	სოფ. ტუბანია—ბეჟაშლალი
3. დგებუაძე ბენედიქტე ორესტის ძე	ჯიხაშკარი
4. უურაშვილი რამზდეკ ოტიას ძე	ბიბულა
5. გრიგოლია ხარდიონი ანდრიას ძე	ქ. ზუგდიდი
6. ხვარძიკია დუდუნი ნიკოლოზის ძე	ს. შამგონა
7. თვალთგაძე ძეკე ფილიპეს ძე	წალენჯიხა
8. ხვარძიკია თეოფანე ნიკოლოზის ძე	შამგონა
9. დარასელია ბაკარი ეგნატეს ძე	ზუგდიდი
10. ქალანდია გიორგი კოსტას ძე	—— " ——
11. ხიჭინავა ნიხა ბერუნის ძე	—— " ——
12. ანთია პროკოფი ალექსის ძე	—— " ——
13. ბიფანი დეონტი ბეფთუს ძე	—— " ——
14. ზესია ალექსანდრე თეიმურაზის ძე	—— " ——
15. გრიგოლია ფილიპე ანდრიას ძე	—— " ——
16. ჩხოლაძია გიორგი ბიბეილის ძე	ქალ. დარჩელის (რაიონი)
17. ცხაკაია დიმიტრე საბას ძე	ზუგდიდი
18. ხიჭინავა ვარლამი როსტომის ძე	—— " ——
19. ხიჭინავა ამბროსი ლუკას ძე	—— " ——
20. დგებუაძე რაფდენ ტიას ძე	—— " ——
21. ვეკუა თადეოზ სტეფანეს ძე	—— " ——
22. ზანგოლავა კონდრატე მარკოზის ძე	—— " ——
23. ფონია აკაკი თეიმურაზის ძე	—— " ——
24. ბიტუა თედეოზ სტეფანეს ძე	—— " ——
25. ბეგლარი თომა	—— " ——
26. ჩხოლაძია კოსტანტინე პაპვალას	ქალ.
27. ანთელავა აკაკი ბიბარ (იონის) ძე	ქალ.
28. ორბელია ჭყონდე ბიბოს ძე	ჯიხაშკარი
29. გობერია ვარლამ ეგნატეს ძე	ქალ.
30. ქაქთარაძე ბადუ იოსების ძე	ზუგდიდი
31. ხიჭინავა ირაკლი ზარუს ძე	—— " ——
32. კოზლი კოსტანი კოსმანის ძე	—— " ——
33. ფიშველაძე კირილე იოსების ძე	—— " ——
34. თოდუა ზალეკი ალექსის ძე	ორულუ—ერგეტა
35. წიფარელია ალბერტ მაიეს ძე	—— " ——
36. კუკავა გრიგოლი გუჯუს ძე	დიდინეთი
37. ბაქაია ვარლამი კოსტას ძე	—— " ——
38. ზელიტონ ტაბას ძე	ცაიში
39. ჭუბერია სოლომონ კერესანდუნის ძე	ზუგდიდი
40. ყულია ბექირბეი ეგნატ (ეს) ძე	ცაიში—ენგური





(ზუგდიდის არქივი, ფონდი 2, საქმე 41, ფურცელი 3).

ალექსანდრე ბუღუჩავა.

სამსონ დადიანი

პრეზიდენტობის ინსტიტუტის შესახებ

დამოუკიდებელი საქართველოს თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე სამსონ დადიანი 1920 წლის 1 დეკემბერს, საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომაზე, სადაც საქართველოს კონსტიტუციას განიხილავდნენ, გამოვიდა ვრცელი მოხსენებით პრეზიდენტობის ინსტიტუტის შემოღება-არშემოღების შესახებ საქართველოში. გთავაზობთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწყვეტებს მისი გამოსვლის ტექსტიდან:

„პრეზიდენტობა მიუღებელი არის იქ, სადაც სუვერენობა ეკუთვნის ხალხს. ჩვენ უნდა ვცდილობდეთ, რომ კონსტიტუციას ჩამოვაშოროთ ის მუხლები, რომლებიც დემოკრატიზმის პრინციპებს არ ეგუება"..

„ბ-ნი გვაზავა ამბობს, რომ პრეზიდენტს უნდა მივცეთ უფლება ჯარის განმგებლობისა, მას უნდა ექვემდებარებოდეს ჯარი. ჩვენ ეს მიუღებლად მიგვაჩნია და ვამბობ, რომ ჯარი ისეთი იარაღია, ისეთი ძალა არის, რომ.. ჩვენ ვერ ვიქნებით დარწმუნებული იმაში, რომ ეს არ იქნება გამოყენებული უზუსრპაციისათვის...

ჯარის ძლიერება ისეთი მაცდური რამ არის, რომ ნაპოლეონობა ბევრს მოენატრება" (გაზ. „სახალხო საქმე". 1921 წ. 16 იანვარი).

სამსონ დადიანს აღარ სწამდა სასწაულმოქმედი პიროვნებებისა და, მართალი გითხრათ, არც ჩვენ გვჯერა მათი; მაგრამ სსრკ სახალხო დეპუტატთა უმრავლესობა რომ სასწაულმოქმედ გორბაჩოვს შესცქერის იმედის თვალით ეს ფაქტია. „იმპერიას თუ ვინმე გადაარჩენს, მხოლოდღა პრეზიდენტობის უფლებით აღჭურვილი მიხეილ გორბაჩოვი გადაარჩენსო." — ამბობენ ისინი.

იმპერიის გადარჩენისა რა გითხრათ (კიბო შეყრილ ავადმყოფს აბა რა გადაარჩენს!). მაგრამ დესპოტიზმის ისეთი კლასიკური ისტორიის მქონე სახელმწიფოში როგორიც რუსეთია, ამ აჩრდილური დემოკრატიის პირობებში გაპრეზიდენტებულ გორბაჩოვსაც ნაპოლეონობა რომ მოუნდეს ესეც არაა გამორიცხული!

ლაიღუ

ამ ბილო ფრონტ საქართველოში ეროვნული მოძრაობა აღმავლობის გზით მიდის. ქართველი ერი ვერასოდეს ვერ შეურიგდება იმ დანაშაულებრივ პოლიტიკასა და შეიარაღებულ აგრესიას, რომელიც საბჭოთა რუსეთმა 1921 წელს ჩაიდინა თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს მიმართ, როცა მოახდინა მისი ოკუპაცია და ფარული ანექსია, რასაც მოჰყვა კომუნისტური მარიონეტული საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრება..

საქართველოში დღემდე ხელოვნების ტოტალიტარული სისტემის მარწუხებში მოქცევამ, თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკაში კომუნისტური ცენზურის აშკარა განუკითხაობამ (რის გამოც, მეტწილად, იდგმებოდა მხატვრულად გამოშიგნული - პიესები) თეატრის დეგრადაცია გამოიწვია, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა საზოგადოების სულიერი, ზნეობრივი და ეროვნული განვითარების პროცესები. ამიტომ, აუცილებელია თეატრების განთავისუფლება ყოველგვარი პარტიული დიქტატისაგან. მოვითხოვთ შემოქმედების აბსოლუტურ თავისუფლებას! აქ გაჩუმება, მორიდება, ლოდინი ღალატს უდრის!

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მოხდეს პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების დაუყოვნებლივ ლიკვიდაცია!

გამომდინარე აქედან, 1990 წლის 11 მარტს ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მოწვეულ იქნა აღნიშნული თეატრის შემოქმედებითი და ტექნიკური პერსონალის საერთო კრება, სადაც ერთხმად იქნა მიღებული დადგენილება თეატრში პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების გაუქმების შესახებ.

როინ თინჭრა,
საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ზუგდიდის კომიტეტის წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროექტი

საქართველოს რესპუბლიკის კ ა ნ ო ნ ი

პოლიტიკური პარტიების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის დემოკრატიული წყობის საფუძველს წარმოადგენს მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემა.

საქართველოს უზენაესი საბჭო ეხწრაფვის რა ყველა პოლიტიკური პარტიის თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფას, მთელი ხელისუფლების მხოლოდ წარმომადგენლობითი ინსტიტუტებისათვის გადაცემას, ხელმძღვანელობს რა საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმებით, იღებს და აცხადებს ამ კანონს.

§1. პოლიტიკური პარტიის ცნება:

1. პარტია არის მოქალაქეთა ნებაყოფლობითი პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც გააჩნია მისივე უმაღლესი ორგანოს მიერ მიღებული და დამტკიცებული წესდება და პროგრამა და რომელიც აერთიანებს არანაკლებ 50 მოქალაქეს.

§2. პოლიტიკური პარტიის სახელწოდება:

2. პოლიტიკური პარტიის სახელწოდება არ უნდა იმეორებდეს უკვე არსებული და რეგისტრირებული პარტიის სახელწოდებას და უნდა შეესაბამებოდეს პარტიის პროგრამის პოლიტიკურ არსს.

§ 3. პოლიტიკური პარტიის შექმნა:

3. პოლიტიკური პარტია შექმნილად ითვლება დაფუძნების დღიდან, ხოლო სრულუფლებიან პოლიტიკურ ორგანიზაციად რეგისტრაციის დღიდან.

§ 4. პოლიტიკური პარტიის წევრობა და საქმიანობა:

4. პოლიტიკური პარტიის წევრი შეიძლება იყო საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 21 წელი და რომელიც არ მიეკუთვნება ამ კანონის მე-6 მუხლში ჩამოთვლილ საქმიანობას.

5. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი.

6. პოლიტიკური პარტიის წევრები ვერ იქნებიან პირნი, რომლებიც მსახურობენ არმიაში, მუშაობენ შინაგან საქმეთა, სახელმწიფო (ეროვნული) უშიშროების, პროკურატურის, სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებსა და სასამართლოებში.

პირებს, რომლებიც მსახურობენ არმიაში და მუშაობენ ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციებში და ამ კანონის მიღების დროისათვის უკვე ირიცხებიან რომელიმე პოლიტიკურ პარტიაში, სურვილისამებრ განუახლდებათ შესაბამისი პარტიის წევრობა, მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესწყვეტენ სამსახურს არმიაში და ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციებში.

7. მოქალაქეობის არმქონე პირებს ან სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეებს, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოს რესპუბლიკაში, ეკრძალებათ პოლიტიკური საქმიანობა საქართველოში.

8. საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს ეკრძალებათ სხვა სახელმწიფოს პოლიტიკურ პარტიებთან, საერთაშორისო და პარტიათაშორისო ორგანიზაციებთან ისეთი ურთიერთობის დამყარება, რომელიც შეზღუდავს მათი, როგორც საქართველოს პოლიტიკური პარტიების უფლებებს და ხელს შეუწყობს სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკური პარტიების, საერთაშორისო და პარტიათაშორისო ორგანიზაციების ჩარევას საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეში.

9. საქართველოს რესპუბლიკაში აკრძალულია სხვა სახელმწიფოს პოლიტიკური პარტიის ან მისი შემადგენელი ნაწილის საქმიანობა.

§ 5. პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციაში გატარება და ყოველწლიური ანგარიშგება:

10. პოლიტიკური პარტიის წესდებას რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო ერთი კვირის ვადაში წესდების სარეგისტრაციოდ წარდგენის დღიდან.

პოლიტიკური პარტიის წესდების რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, იუსტიციის სამინისტრო ვალდებულია, არაუგვიანეს ათი დღისა წესდების წარდგენიდან, ეს წერილობით აცნობოს დამფუძნებელთ, უარის თქმის მიზეზების აღნიშვნით.

11. პოლიტიკური პარტიის წესდების რეგისტრაციაზე უარის თქმა შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში.

12. პოლიტიკური პარტია ვალდებულია ყოველწლიურად, 21 იანვრისათვის წარუდგინოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემები თავის წევრთა რაოდენობის შესახებ წინა კალენდარული წლის მიწურულს არსებული მდგომარეობის მიხედვით.

§ 6. პოლიტიკური პარტიის საქმიანობის გარანტიები:

13. ყველა რეგისტრირებული პოლიტიკური პარტია საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს თავისუფლად და დამოუკიდებლად. აკრძალულია პოლიტიკური პარტიის საშინაო საქმეებში სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევა.

14. პოლიტიკურ პარტიებს უფლება აქვთ ურთიერთობა იქონიონ სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურ პარტიებთან, საერთაშორისო და პარტიათაშორისო ორგანიზაციებთან ამ კანონის მე-8 მუხლში გათვალისწინებული პირობების დაცვით.

15. პოლიტიკურ პარტიას აქვს შენობა-ნაგებობათა, სატრანსპორტო საშუალებათა, საბეჭდ-საგამომცემლო მოწყობილობათა, საწარმოთა და სხვა სახის ობიექტების საკუთრების უფლება. აქვს საკუთარი ანგარიში ბანკში.

16. ყველა პოლიტიკურ პარტიას აქვს თანაბარი უფლება დაასახელოს თავისი კანდიდატები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში. ყოველ პარტიას უფლება აქვს ერთ მანდატზე დაასახელოს მხოლოდ ერთი კანდიდატი.

17. პოლიტიკურ პარტიას ან რამდენიმე პოლიტიკური პარტიის კოალიციას, რომელსაც უზენაეს საბჭოში ჰყავს დეპუტატთა უმრავლესობა, უფლება აქვს შეადგინოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

18. ყველა პოლიტიკურ პარტიას უფლება აქვს შეუფერხებლად გაავრცელოს წერილობითი, სიტყვიერი ან სხვა სახის ინფორმაცია თავისი იდეების, მიზნებისა და პროგრამის პროპაგანდის მიზნით.

19. ყველა პოლიტიკურ პარტიას უფლება აქვს ჰქონდეს თავისი პრესა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებანი.

20. ყველა პოლიტიკურ პარტიას აქვს მიტინგების, მსვლელობების, კრებებისა და სხვა სახის მასობრივი ღონისძიებების მოწყობის უფლება.

პოლიტიკური პარტია ვალდებულია, მის მიერ დაგეგმილი მასობრივი ღონისძიებების ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, სამი დღით ადრე დააუწყოს ეროვნული პოლიციის ის განყოფილება, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც არის დანიშნული მასობრივი ღონისძიება.

§ 7. პოლიტიკური პარტიის პირველადი ორგანიზაცია:

21. ყველა პოლიტიკური პარტია ვალდებულია თავის პირველადი ორგანიზაციები შექმნას მხოლოდ და მხოლოდ ტერიტორიული პრინციპით.

დაუშვებელია პირველადი პარტიული ორგანიზაციების შექმნა საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში და ხომალდებზე.

§ 8. აკრძალვები პოლიტიკური პარტიებისათვის

22. ყველა პარტიას ეკრძალება მართსაწინააღმდეგო საქმიანობა, რაშიც იგულისხმება შემდეგი:

ა) ხელისუფლების არაკონსტიტუციური გზით დამხობის მცდელობა.

ბ) ფარული ორგანიზაციების შექმნა.

გ) ომისა და ძალადობის პროპაგანდა.

დ) რასობრივი, ეროვნული, სარწმუნოებრივი, კლასობრივი ან სოციალური სწორუპოვრობის ქადაგება და შუღლის ჩამოგდება.

ე) ავტორიტარიზმისა და ტოტალიტარიზმის პროპაგანდა.

ვ) ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლება-თავისუფლებათა დარღვევა.

ზ) იარაღის ფლობა, გასამხედროებული ორგანიზაციების შექმნა ან შეიარაღებულ ორგანიზაციებთან კავშირი.

თ) სხვა სახელმწიფოებისაგან, საერთაშორისო ან პარტიათშორისო ორგანიზაციებისაგან ფულადი და ნივთიერი დახმარების მიღება.

ი) ამ მუხლის ყველა ქვემუხლის მოთხოვნა იმპერატიულია და ექვემდებარება ყველა პოლიტიკური პარტიის მიერ უპირობო შესრულებას.

4. ყველა პოლიტიკურ პარტიას ეკრძალება თავისი თავის გამოცხადება ერის ან სოციალური ფენის ნების ერთადერთ გამომხატველად, საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალად.

§ 9. პოლიტიკური პარტიის საქმიანობის შეჩერება:

24. საქართველოს უზენაეს საბჭოს უფლება აქვს საგანგებო მდგომარეობისას დროებით შეაჩეროს პოლიტიკური პარტიების საქმიანობა. ასეთ შემთხვევაში უზენაესი საბჭო ვალდებულია დროებით შეაჩეროს უკლებლივ ყველა პოლიტიკური პარტიის საქმიანობა.

25. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს უფლება აქვს 8 თვით შეაჩეროს ნებისმიერი (მათ შორის მმართველი ან მმართველი კოალიციის შემადგენელი) პოლიტიკური პარტიის საქმიანობა იმ შემთხვევაში თუ ეს პარტია არღვევს ამ კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს ან საკუთარ წესდებას.

პოლიტიკურ პარტიას, რომლის მოქმედებაც დროებით შეაჩერა უზენაესმა საბჭომ უფლება აქვს ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს უზენაეს სასამართლოში.

26. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს უფლება აქვს დროებით შეაჩეროს იმ პოლიტიკური პარტიის საქმიანობა, რომლის წევრთა რიცხვი შემცირდა 49 კაცამდე. ასეთი პარტიის საქმიანობა განახლდება იმ დღიდან, როცა მისი წევრთა რიცხვი გახდება 50 და ამას დაადასტურებს იუსტიციის სამინისტრო.

§ 10. პოლიტიკური პარტიის მოქმედების შეწყვეტა:

27. საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს უფლება აქვს შეწყვიტოს იმ პოლიტიკური პარტიის საქმიანობა, რომელმაც დაუშვა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის და კანონის დარღვევა ორჯერ ერთი წლის განმავლობაში.

28. პოლიტიკური პარტია თავის საქმიანობას წყვეტს თვითდაშლის გზითაც.

§11. პოლიტიკური პარტიების საქმიანობისადმი კონტროლი:

29. იუსტიციის სამინისტრო აკონტროლებს პოლიტიკური პარტიების მიერ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და სხვა კანონების დაცვას.

30. საქართველოს რესპუბლიკის პროკურორს, აგრეთვე, პოლიტიკურ პარტიებს უფლება აქვთ ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის საქმიანობის თაობაზე შეკითხვით მიმართოს იუსტიციის სამინისტროს და წერილობითი პასუხი მოითხოვოს მისგან.

31. პოლიტიკური პარტიების საფინანსო საქმიანობისადმი კონტროლს ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო.

კანონპროექტის შემდგენლები:
დავით გურული,
აბესალომ ტულუში.

ისტორიის გაკვეთილი

ბავშვობის ფერადოვანი წლები... ნახევარი საუკუნის თვალსაწიერიდან ისეთივე კამკამა მეჩვენება, თქვენი ცის სილურჯე, ისეთივე ხასხასა—სამეგრელოს მწვანე სანახები... რა შორსა ხარ და რანაირად ჩამრჩით მეხსიერების სიჭრელეში, სადაც ერთადაა ჩაყრილი ჩემი პატარა სიხარულები და ჩემი დიდი ტკივილები... თითქოს სულ ახლახან გადაგვრიალა ომის საშინელმა გრიგალმა, მაგა რომ გადაიყოლა, დაშყარდა შშვიდობა, დადგა ყაში, როცა „ჩქიმი სქვამი საქორთოს“ მაფშალები შეუარნენ, სტალინის სანახავად მოსკოვში გაფრინდნენ. „ჩქიმი ბერია თექ ვარენო, ერო თქუანც სიმართლეს, მუნაფასი ფაჩუნსუ დო მოძირანა სინათლეს.“ დიახ, ჩვენი ბერია იქ იყო, ღრუბლებს ფანტავდა და სინათლეს გვიჩვენებდა. „ამ სტრიქონების მომყოლი „ურაიდა ჩაიდა“, იმ დროს ირონიად არ აღიქმებოდა. შიმშილის დაუოკებელ გრძნობას აწონასწორებდა რწმენა იმისა, რომ თავისუფალ ქვეყანაში ეცხოვრობთ, ბედნიერი მომავალი მოგველის, ლენინის ანდერძით ვსულდგმულობთ, სტალინის მზე დაგვნათის, ბერიას ბრძნულ მითითებებს ვასრულებთ...

ერთი და ორი, ერთი და ორი... სკოლის ეზოში წინ და უკან დავატყაპუნებთ, ტილოს უზარმაზარ პორტრეტებს დავატარებთ, წინიდან და უკნიდანაც ბელადების გამჭრიახი თვალები გვითვალთვალებენ... ამა გაბედე, ფეხი აგერიოს!... მწყობრად, ფეხაწყობით, მტრის ჯინაზე, მარშითა და ვაშათი მიედიოართ იმ საოცნებო ქვეყანამდე, სადაც ტრამვაიზე უფასოდ ვიმგზავრებთ...

ჩემი პირველი დღესასწაულის ქუჩები გაჭედილია დემონსტრანტებით... ცხელა, გუშია, დაღლილობისგან მუხლები გვეკეცება... მივათრევთ დროშებს, ლოზუნგებს, პორტრეტებს, უკვე უნიათოდ ვკნავიკავართ—„ვაშა“! ძალწავლებლები თვალებს გვიბრიალებენ—„სწორდით!... სწორდით!“... ბელადის გამსწორივ ხალხის ელდული ჩამწკარიკვებულა... ტრანსპარანტები, წითელი ალმების ფრიალი, მამალო კანფეტები, ბრაერი და სიცხე,—ორკესტრს „ძუმპაპა“, უთავბოლო „ვაშა“ და „ურა“... წინ კი ფართო მრედანია...

პირველად აქ ვიხილე ბელადებს შორის ყველაზე ელესი, ადრე, რაკი მეუბნებოდნენ „დიდი ლენინჩო“, მეგონა ალვისტოლა მაინც. იქნებოდა. აქ კი, მომცრო ყვარცლბეკაზე, თეთრი ტრიბუნის უკან ჩია კაცი იდგა, არ მახსოვს ნაბიჯი გადმოედგა თუ ხელს იწვდიდა... ტრიბუნაზე კი ერთსახოვანი, უფრო სწორად, ფსახური ძიები იდგნენ და ხელებს ვეიქნევდნენ.

(გაგრძელება. ბე 4 გვ.)

ფერილი იმ ფლებს, როცა ლენინი მიყვარდა

როდემდის?

რუსეთის პერანგ გამოცვლილი იმპერიის ტოტალიტარულმა რეჟიმმა თავისი არსებობის 70 წლის განძილზე ისედაც ცოდვის შვილებად შობილთ, ათასი ფსეთი ცოდვა ჩაგვადენინა, რომლის შენდობა უფალსღა ძალუძს, მაგრამ როცა ჩვენი სამშობლო ლაზარესავით მკვდრეთით აღდგომას აპირებს, როდესაც ეროვნული დამოუკიდებლობა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ცხრა მთას იქით გვეგულებოდა, უკვე კარზე გვიკაკუნებს, როცა ჩვენი ეროვნული გამოღვიძებით შეშფოთებული და განრისხებული დამპყრობელი მისსავე ლაშქარში გაწვეულ ჩვენს შვილებს თითბრის კუბოთი გვიგზავნის, არცერთ ჩვენთაგანს და უწინარესად ჩვენ, ექიმებს, არა გვაქვს უფლება დუმილისა და ჩვენი დამაქცევარის სამსახურში მონურად დარჩენისა.

ჩვენ, ქართველმა თეთრხალათიანებმა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავარკვიოთ ჩვენი პოზიცია, კარგად გავაცნობიეროთ ის თუ რამდენად შესათავსებელია ერთმანეთთან მამულიშვილობა და სამსახურებრივი მოვალეობა, თუკი ეს უკანასკნელი, როგორც ექიმებს, საოკუპაციო არმიაში გასაწვევი ჰაბუკების სამედიცინო შემოწმებას გვაკისრებს.

სხვისი არ ვიცი და ჩემი აზრი ამ შემთხვევაში ცალსახა და გარკვეულია — საოკუპაციო არმიასთან ნებისმიერი სახით თანამშრომლობა (თუნდაც ირიბი გზით თანამშრომლობა), ჩვენთვის, ექიმებისათვის, ეროვნული მოძრაობის მოწინააღმდეგეთა რიგებში ჩადგომის ტოლფასია. ჩვენ მივესალმებით ეროვნული საჯარისო შენაერთების შექმნის იდეას, რომელიც ეროვნული მოძრაობის ნაყოფია, მაგრამ სანამ ჩვენ, ექიმები, რომელთაც არცთუ ისე მცირე წვლილი მიგვიძღვის წვევამდელთა საბჭოთა საოკუპაციო არმიის რიგებში გაწვევის ორგანიზების საქმეში, წინ არ აღვუდგებით ისპერიული ძალების ჯიუტ პოლიტიკას, რომელიც ესწრაფვის საბჭოთა არმიის სტრუქტურისა და ეროვნული საჯარისო შენაერთების შექმნის არდაშვებას, არათუ ჩვენი ეროვნული ვალი დაგვრჩება გადაუხდელი, არამედ ქართველი ერის მტრების წინაშე წყლის დამსხმელთა შორის აღმოვჩნდებით.

საბჭოთა არმია კი საოკუპაციო არმია რომაა, ეს თვით საქართველოს უზენაესმა საბჭომ აღიარა იმდენად, რამდენადაც მან აღიარა 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის ფაქტი. მანვე გაუქმებულად გამოაცხადა ყველა ის თავს მოხვეული საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ის საბჭოთა კომუნისტური იმპერიის შემადგენლობაში იქნა გაერთიანებული. ამიტომ საბჭოთა არმიაში ქართველი ჰაბუკებისა და საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების ახალგაზრდების გაწვევა უკანონოა, რადგან ეს ნიშნავს იურიდიულად უკვე საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ არსებული ქვეყნის მოსახლეობისადმი საბჭოთა სამხედრო ბეგარის დაკისრებას და ეს კი მთავარია ჟენევის 1949 წლის კონვენციის მოთხოვნათა დარღვევას, კონვენციისა, რომლის ძალითაც ოკუპანტ სახელმწიფოს ეკრძალება ოკუპირებული ქვეყნის მოქალაქეთა გაწვევა საოკუპაციო ჯარში.

სწორედ ყოველივე ზემოთ თქმულით ვხელმძღვანელობდი, როცა მე, როგორც სამხედრო სამედიცინო კომისიის ექიმმა მიმდინარე წლის 20 მარტს უარი განვაცხადე მონაწილეობა მიმეღო საოკუპაციო ჯარში გასაწვევ წვევამდელთა სამედიცინო კომისიის მუშაობაში და მიმაჩნია, რომ ყოველი ქართველი ექიმი, ვინც მონაწილეობას მიიღებს ამ კომისიის მუშაობაში, მიჩნეულ უნდა იქნეს ოკუპანტის სამსახურში ჩამდგარ პიროვნებად და აქედან გამომდინარე — არამამულიშვილად.

ჩემს კოლეგებს, თადარიგის სამხედრო ვალდებულთ მოვუწოდებ, მოიხსნან აღნიშნული ვალდებულება და სამხედრო ბილეთები ჩააბარონ სსრკ თავდაცვის სამინისტროს.

ხოლო წვევამდელთა დედებს შევახსენებ, რომ გასულ წელს საქართველოში ჩამოასვენეს 88 ჯარისკაცის ნეშტი, წელს, ამ ოთხი თვის მანძილზე მათ კიდევ 25 ჯარისკაცის ცხედარი შეემატა. უმეტესობა მათგანი წამებითაა მოკლული მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველები იყვნენ.

როდემდის დედებო, როდემდის აპირებთ შვილების სასაკლაოზე გაგზავნას!?

მარინე შონია.

(დასასრული)

მერე იმ ადგილას იგი სტალინის ძეგლი, ჯარისკაცის ჩექმასავით მოუხეშავმა ძეგლმა შეცვალა. რატომ უყვართ დიქტატორებს ეს რუხი, დამთრგუნავი მონუმენტები, ალბათ იცით, შიში შეიქმს სიყვარულსო... რამდენჯერ მიფიქრია, რა მოხდება ეს უფორმო, რუხი თუჯის მასა ადგილიდან რომ დაიძრას მეთქი, წარმომედგინა, როგორ დასკდებოდა ასფალტი, როგორ მოკურცხლავდნენ თავზარდაცემული მოქალაქენი, როგორ დასადგურდებოდა სიკვდილი... რა ვიცოდი, რომ ეს არ იყო მხოლოდ ქიმერა, ჭკვლევი-მონუმენტი მართლაც დადიოდა ჩვენს ქუჩებში....

სტუკა გამიგრძელდა... ლენინის ძეგლის გარეშე ქალაქი ვერ გაძლებდა და აი იგი წამოიმართა სასტუმრო „ოდიშის" წინ, ბულვარისა და რუსთაველის ქუჩის გადაკვეთაზე. აღარ მახსოვს როდის მოხდა ეს, ვიყავი თუ არა ზუგდიდში, მაგრამ ვლადიმერ ილიას ძე ისედაც ხომ მუდამ თან დამყვებოდა: ყველა ქალაქში და სოფელში, თითქმის ყოველ წიგნში, რადიოში და გაზეთში, სკოლაში და შინ... ღმერთო, რამ წამაკითხა ეს სქელტანიანი, წითელყდიანი, ოქროთი მოვარაყებული ტომები და რა ცოდნა ამოვიღე იქიდან... ცოდნა დაუნდობელი ბრძოლისა, იმისა, რომ ვინც ჩემთან არაა, ჩემი მტერია, იმისა, რომ ეროვნული მეორადია, კლასობრივი კი უპირველესი, სულიერი —მეორადი, მატერიალური— უპირველესი, აზრი მეორადია, ყოფიერება უპირველესი... ამ სქელი ტომებიდან უამრავი ურთიერთგამომრიცხავი რამის ამოკრება შეიძლება, მაგრამ ყმაწვილს გულს ხომ უპირველესად ბარიკადი, ბრძოლა, ტყვია და ხმალი იტაცებს, რაკი ყმაწვილს თავი უკვდავი ჰგონია და ყოველივე ეს მღერა და თამაშად მიაჩნია... ამასობაში სადღაც დაიკარგა ქრისტე, გაქრა შემწყნარებლობა, მომტევებლობა, ცხოვრების ჭეშმარიტი საზრისი.

სულ ახლახან, წელიწადიც არ გასულა, ზუგდიდზე ვწერდი და ლენინის ძეგლი მიუიხსენიე. კერპისადმი თაყვანი ყარგა ხანია იმ შორეული წლების მოგონებასღა შერჩა, მაგრამ ძეგლს მაინც თავისას მივუზღავდი, ჩემთვის უცნობი ავტორები შევაქე ადგილ ჩვეულ სტანდარტებს შორის გამოირჩევა მეთქი.

დღეს კი, ჩემი ცხოვრების ნახევარი საუკუნის ბოლოს, ის კვარცხლბეკი ლენინის გარეშე ვნახე. თურმე ისე მყარად იდგა რევოლუციის ბელადი, მძიმე „კრაზიც" ძლივს მოერია. ახლა კვარცხლბეკი უაზროდა დგას ჩვეულ ადგილზე. როცა ძეგლი გადმოაგდეს, თან ლოდი გადმოყვა. შიდა მხარეს ჯერ კიდევ შერჩენოდა საფლავის წარწერები... ღმერთო, შენ მოგვიტევე, რამოდენა მკრეხელობაა! დიდი ლენინი თურმე საფლავის ქვაბზე იდგა... ჩვენი წინაპრები საფლავებში არ დააყენეს, ვინ იცის, ვისი ძვლები სად გადაყარეს... წამოიღეს საფლავის ქვები და კვარცხლბეკი ააშენეს... სიკეთისა და მომავალი ბედნიერების მქადაგებელი, ვინაც დედამიწაზე სამოთხეს გვპირდებოდა, თურმე ჩვენი პაპებისა და მამების საფლავის ქვებზე იდგა.

ზღვარი აბა აქვს ადამიანის ცთომილებას, ნუთუ ამ ცოდვას ვინმე მოგიტევებს!

რა საოცარი ხარ, ღვთაებრივო ჭეშმარიტებავ! შენამდე ბიმავალ გზებზე ეჭვი თუ გაგვატარებს... დაეჭვდით!... დიქტატორები. ჩვენს სიბრმავეს ეყრდნობიან, ჩვენი უმეცრების იმედი აქვთ!... ფხიზლად ვიყოთ, ჩვენი საფლავების ქვებიც მომავალმა სატანამ კვარცხლბეკად არ გამოიყენოს!

ჯემალ ჭირია.



სურათზე: საფლავის ქვა, რომელზეც იდგა „დიდი ბელადის" მონუმენტი.

წერილი რედაქციას

გასული წლის 9 აპრილს საბჭოთა იმპერიის სამხედრო შავრაზმელების მიერ თბილისში რუსთაველის პროსპექტზე ჩადენილი უსაზიზღრესი დანაშაულის გამო, რაც მიმართული იყო ქართული ეთნოსის მიმართ, პროტესტის ნიშნად ჩემი პარტიული ბილეთი გავანადგურე და აქტიურად ჩავები სამართლიან ეროვნულ მოძრაობაში, გავხდი სახალხო ფრონტის წევრი და ჩამოვაყალიბე ჩემს მშობლიურ სოფელ ცაიშში საქართველოს სახალხო ფრონტის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის პირველადი ორგანიზაცია. ყოველივე ამის გამო სოფლის ხელმძღვანელობა, კერძოდ სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ქირია და კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე გ. რევია შეეცადნენ ჩემს დისკრედიტაციას; მაგრამ, ვინაიდან სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ქირია, როგორც ჩანს, ვერ ერკვევა თანამედროვე პოლიტიკურ მოვლენებში, ჩემს წინააღმდეგ სხვა ვერა გააწყო რა, გარდა იმისა, რომ ახლო ნათესავებისა და ზოგიერთი პირების დახმარებით სოფელში გაავრცელეს ჭორი, თითქოს მე დამეწეროს განცხადებები სხვადასხვა ინსტანციებში ცაიშის საშუალო სკოლის მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ და ამით ხელი შემეშალოს მშენებლობის დამთავრებისათვის.

აღნიშნული ჭორების გასამაგრებლად ა. ქირია და გ. რევია დაუკავშირდნენ მშენებლობის მწარმოებელ „საქოლიმპიადმშენის" სენაკის ტრესტის მმართველს ნ. ჯობავას, რომელმაც სიტყვიერი ჭორების ნიადაგზე ამა წლის 9 აპრილს მოიწვია შრომითი კოლექტივის საბჭოს სხდომა და მიიღო დადგენილება ცაიშის საშუალო სკოლის და მშენებლობების კონსერვაციის შესახებ. აღნიშნული დადგენილების ასლები დაურიგდა რაიონისა და სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულს. გამომდინარე აქედან, ცაიშის საშუალო სკოლის მოსწავლეები 12 აპრილს გაიფიცნენ. ცალკეული მოსწავლეები დაემუქრნენ ჩემს შვილსა და ძმისშვილს, ჩემი ვითომცდა უღირსი საქციელის გამო.

იმავე დღეს მოწვეულ იქნა სოფლის ყრილობა, სადაც ჭარბობდა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ა. ქირიას ნათესაობა და ახლო მეზობლები. ყრილობას ეხსრებოდა თვით ტრესტის მმართველი ნ. ჯობავა და სახალხო ფრონტის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის რამდენიმე წევრი.

ყრილობაზე განსაკუთრებულად წარმოადგინეს ნ. ჯობავას მიერ გამოგზავნილი ოქმი, სადაც მითითებულია ზემოხსენებული მშენებლობების შეწყვეტა - კონსერვაცია გამოგონილი მიზეზებით. მართალია ყრილობის მონაწილეებს ვერ წარუდგინეს ვითომ ჩემს მიერ გაგზავნილი საჩივარ-განცხადებები, მაგრამ მიუხედავად ამისა ა. ქირიას ბიძაშვილმა შოთა ქირიამ წინადადება წამოაყენა სოფელში მოარული ჭორების საფუძველზე ჩემი სოფლიდან გასახლების შესახებ, რასაც ა. ქირიას ნათესავები და მეზობლები ტაშის გრიალით შეხვდნენ. შემოთავაზებული წინადადება თავისი უბადრუკობის გამო იქვე გაქარწყლდა, მაგრამ აღნიშნულ პირთა მიერ ჩემდამი მუქარა გრძელდება: იმ შემთხვევაში, თუ კი „უფალი" ჯობავა არ გაგრძელებს „სოფლის შენებას", მე ვერ გავექცევი მათ ხელყოფას.

ასეთია სოფლის ხელმძღვანელობის სურვილი და მათი სადღეისო მორალურ-პოლიტიკური კრედო.

რეზო შენგელია.

ნაბიჯები დამოუკიდებლობისაკენ

▲ ამ რამდენიმე დღის წინათ მალტის მთავრობამ ცნო ლიტვის პარლამენტის გადაწყვეტილება დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ.

▲ ესტონეთის ფინანსთა მინისტრმა ე. მიანდმაამ და ესტონეთის ბანკის პრეზიდენტმა რ. ოტსასონმა ახლახან ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას უცხოეთის ერთერთ ფირმასთან (რომლის სახელწოდება გასაიდუმლოებულია), ესტონეთის ეროვნული ვალუტის — კრონის ბეჭდვის თაობაზე, რომელიც 2,5 მილიონი დოლარი დაუჯდებათ ესტონელებს.

ესტონეთის უზენაესი საბჭოს და ეროვნული ბანკის მიერ უკვე დადგენილია ფულის ეროვნული ერთეულის მიმოქცევაში გაშვების დრო: 1991 წლის პირველ ხელფასს ესტონეთის მოქალაქეები ეროვნული ვალუტით მიიღებენ.

ჟურნალი „ზუგდიდის ხმა" 1991 წლიდან ბიბლიოთეკა

ჟურნალი იწყებს ზუგდიდის ხმამბაში, დაიბეჭდა ოფსეტური წესით სენაკის ხმამბაში.

ხელნაწერების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
მისამართი: ზუგდიდი, ბ. ბერიძის ქ. №1, ოთახი №3.
ტელეფონი: 2-32-47.

რედაქტორი: ჯამგულ არქანია
სარედაქციო კოლეგია: მურთაზ არნანია, ედიშერ არღვლიანი, რუსლან ციკლაურია, ლუარსაბ ავირკაველია, ჯანდრი ნაყოფია, აბესალომ ტულუში, ჯამგულ ძავთარაძე, მიხეილ ხორავა.